ოქმი N 2

ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო- საბიუჯეტო
კომისიის სხდომისა

ქ. ხობი 2025 წლის 16 იანვარი

სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები:

1. ლევანი ლიპარტია
2. მამუკა ქარდავა
3. გოჩა ქაჯაია
4. გურიელ ქარდავა
5. აკაკი მალანია
6. ბადრი რიჟამაძე
7. ფელიქსი წურწუმია
8. სერგო ბერაია

სხდომას თავმჯდომარეობდა ლ. ლიპარტია - კომისიის თავმჯდომარე

დღის წესრიგი:

1. ხობის მუნიციპალიტეტის მერის დ. ბუკიას 2025 წლის 15 იანვრის N50-502501588 წერილის განხილვა („ხობის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 27 დეკემბრის №21 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ დადგენილების პროექტის შესახებ).

(მომხსენებელი: ლ. ლიპარტია - ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო - საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე).

კენჭი ეყარა დღის წესრიგის წარმოდგენილ ვარიანტს
კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 8, წინააღმდეგი - არც ერთი
დაადგინეს: დღის წესრიგი დამტკიცდეს წარმოდგენილი სახით

დღის წესრიგით წარმოდგენილი საკითხის განხილვა

1. ხობის მუნიციპალიტეტის მერის დ. ბუკიას 2025 წლის 15 იანვრის N50-502501588 წერილის განხილვა („ხობის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 27 დეკემბრის №21 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ დადგენილების პროექტის შესახებ).

(მომხსენებელი: ლ. ლიპარტია - ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო - საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე).

მოისმინეს: ლ. ლიპარტია - მომხსენებელმა კომისიის წევრებს გააცნო ხობის მუნიციპალიტეტის მერიის სამსახურების წინადადებების საფუძველზე პროგრამული ბიუჯეტის შედგენისათვის საჭირო მეთოდოლოგიის შესაბამისად განსაზღვრული პრიორიტეტები, პროგრამების/ქვეპროგრამების მიხედვით ინფორმაცია პროგრამების, ქვეპროგრამების, მათი მოსალოდნელი შედეგებისა და შესრულების შეფასების ინდიკატორების შესახებ, ასევე ინფორმაცია კაპიტალური პროექტების შესახებ.

ასევე აღნიშნა რომ საქართველოს ფინანსთა მინისტრის №385 ბრძანებით „პროგრამული ბიუჯეტის შედგენის მეთოდოლოგიის დამტკიცების თაობაზე" განსაზღვრულია, რომ პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით, ერთ-ერთი ინდიკატორი შეიძლება იყოს გენდერული, ასეთის არსებობის შემთხვევაში. მეთოდოლოგიის მიხედვით, გენდერული ინდიკატორები შემუშავებული უნდა იყოს პროგრამისა და ქვეპროგრამის საბოლოო და შუალედური შედეგებისთვის.

ამასთან, მნიშვნელოვანია, რომ ხობის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს სამოქმედო გეგმის მიხედვით, განსაზღვრულია გენდერული ბიუჯეტის შემუშავება და პროგრამებისა და პროექტების დაგეგმარებისა და განხორციელების დროს ქალებისა და კაცების, გოგონებისა და ბიჭების საჭიროების გათვალისწინებით.

ამდენად, გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფის მიზნით, 2025 წელს ხობის მუნიციპალიტეტის ფინანსური დოკუმენტების შემუშავების დროს, 2025-2028 წლის პრიორიტეტების დოკუმენტსა და 2025 წლის პროგრამული ბიუჯეტის პროექტის (პროგრამული დანართი) გათვალისწინებული იქნა გენდერული ასპექტები.

ხობის მერის მიერ შეირჩა მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პროგრამები და ქვეპროგრამები, რომელიც გენდერული ანალიზიც ჩატარდა მუნიციპალიტეტის მერიის დარგობრივი სამსახურებისა და პროგრამების განმახორციელებელი ა(ა)იპ-ების მიერ, UNDP-ის პროგრამის ტექნიკური მხარდაჭერით. გენდერული ანალიზის შედეგების საფუძველზე 2025 წლის ბიუჯეტის პროექტში აღნიშნული პროგრამების/ქვეპროგრამების მოდიფიცირება მოხდა. კერძოდ, შესაბამისი გენდერული პოლიტიკა და მიდგომები ასახულია პროგრამის აღწერისა და შედეგების ნაწილში.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა კომისიის წევრებს, წარმოდგენილ წინადადებასთან დაკავშირებით გამოეთქვათ მოსაზრებები, მაგრამ კომისიის წევრების მხრიდან განსხვავებული მოსაზრება არ გამოთქმულა.

სხდომის თავმჯდომარე შემოვიდა წინადადებით საკითხის საკრებულოს ბიუროს სხდომის დღის წესრიგში შეტანის თაობაზე

კენჭი ეყარა წარმოდგენილ წინადადებას

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 8, წინააღმდეგი - არც ერთი

დაადგინეს: წარმოდგენილი დადგენილების პროექტი წარედგინოს საკრებულოს ბიუროს სხდომას განსახილველად.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების ამოწურვის შემდეგ სხდომა დახურულად გამოცხადდა.

სხდომის თავმჯდომარე ლევანი ლიპარტია